

თავი 29 დახმარება თუ ოინი?

ლორდთა სასახლეში უფრო მეტი ოთახი და დარბაზი იყო, ვიდრე ლაბორინთში. ჯონათანმა ყავისა და ახალგამომცხვარი პურის მადისადმიძვრელი სურნელი იგრძნო. იგი ამ სურნელს მიჰყვა დერეფანში და დიდ მისაღებ ოთახში გავიდა, სადაც ხანშიშესული მამაკაცები და ქალბატონები იდგნენ და მუშტების ქნევით რაღაცაზე კამათობდნენ. ზოგი ქვითინებდა, ზოგი კი მათ ამშვიდებდა.

– რა ხდება? რატომ ხართ ასე შეწუხებულები? – იკითხა ჯონათანმა, რომელმაც დარბაზის შეაგულში უზარმაზარი კალათი შეამჩნია. კალათი თითქმის ჭერს სწვდებოდა.

ხანშიშესული ადამიანების უმრავლესობამ ყურადღება არ მიაქცია, ერთმანეთთან ბუზღუნი და წუწუნი განაგრძეს. ამ დროს ერთი სერიოზული ყმაწვილი წამოდგა და ჯონათანს მიუახლოვდა.

– თავხედი ბატონი, – ბუზღუნებდა იგი – იგივე გააკეთა, გაგვასულელა. . .

– რა გააკეთა? – ჰკითხა ჯონათანმა.

– წლების წინ, – სარკასტულად აღნიშნა მოხუცმა კაცმა – დიდმა ბატონმა პონციმ თავისი გრანდიოზული გეგმა გაგვანდო, რომლის მიხედვითაც მოხუცებულობისას არავინ იქნებოდა მშვიერი. კარგად ჟღერს, ხომ? – ჯონათანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– დიახ, ჩვენც ასე ვფიქრობდით, ჰმ. . . – ჩაიქირქილა გაღიზიანებით – ყველამ იწამა დიდი და ყოვლისშემძლე კარლო პონცის და მისი საბჭოსი. დათანხმდნენ მის ბრძანებას, ყოველ კვირა პური ჩაედოთ ამ უზარმაზარ კალათში. ისინი ამას „ნდობის საგარანტიო კალათს“ უწოდებდნენ. მათ, ვინც 65 წელს მიაღწევდა, შეეძლოთ დაეწყოთ პურის გამოყენება ნდობის საგარანტიო კალათიდან.“

– ბატონი პონცისა და მისი საბჭოს გარდა ყველას შეჰქონდა წვლილი ამ საქმეში? – გაიმეორა ჯონათანმა.

– კი, მათ განსაკუთრებულად ეპყრობოდნენ – უპასუხა მოხუცმა კაცმა, – ჩვენ დამატებით უნდა ჩაგვედო პური ცალკე კალათში, რომელიც სპეციალურად მათთვის იყო განკუთვნილი. ახლა ვიცი, რატომ უნდოდათ, რომ მათი წილი ცალკე ჩაგვედო.

– კარგია თუ მოხუცებულობაში პური გექნება, – თქვა ჯონათანმა.

– ჩვენც ამას ვფიქრობდით. ბრწყინვალე იდეა ჩანდა, რადგან ყოველთვის იქნებოდა პური მოხუცებულთა გამოსაკვებად. რაკი უმრავლესობას „ნდობის საგარანტიო კალათის“ იმედი გექონდა, ინდივიდუალურად აღარ ვინახავდით ფულს სამომავლოდ. გვეგონა, აღარ მოგვიწევდა ჩვენს ოჯახებსა და მეზობლებზე ზრუნვა, რადგან საბჭოს იმედი გექონდა.

მან მხრები უღონოდ ჩამოუშვა, თითქოს ცხოვრების ტვირთმა დაამძიმაო. მოხუცმა კაცმა დასუსტებულ, ხანშიშესულ ადამიანთა ჯგუფს გადახედა. მეორე ხანშიშესულ ჯენტლმენზე მიუთითა, რომელიც იქვე ახლოს სკამზე იჯდა.

– ერთ დღეს ჩემი მეგობარი ალანი თვალს ადევნებდა ხალხს, რომელიც პურს დებდა და იღებდა კალათიდან. ალანი ბუღალტერი იყო და გამოთვალა, რომ „ნდობის საგარანტიო კალათი“ მალე დაცარიელდებოდა. მან განგაში ატეხა, – ალანმა თავი დაუქნია დასტურის ნიშნად.

– მივედით კალათთან და ერთი მხრიდან ავძვერით. ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ არც ისეთი სუსტები და ბრმები ვართ, როგორც ზოგიერთ ახალგაზრდა ბატონს ჰგონია. ჩავიხედეთ შიგნით და აღმოჩნდა, რომ საკვების კალათი თითქმის ცარიელი იყო. ახალმა ამბავმა უკმაყოფილება გამოიწვია. მაშინვე ვუთხარით იმ დიდ ბატონ პონცის, რომ მისთვის უკეთესი იქნებოდა თუ სასწრაფოდ რამეს მოიმოქმედებდა, თუ არადა მომავალ არჩევნებზე ტყავს გავაძრობდით.

– წარმომიდგენია, როგორ შეშინდებოდა, – თქვა ჯონათანმა.

– შეშინდებოდა? ასე ანერვიულებული ჯერ არავინ მინახავს. მან იცის რომ, თუ გაგბრაზდით ძალიან საშიშები ვხდებით. თავდაპირველად დაგვპირდა, რომ მოხუცებულებს უფრო მეტ პურს მისცემდა არჩევნების წინ. მერე კი, არჩევნების შემდეგ, ახალგაზრდა მუშებისგან მეტი პურის აღება დააპირა. მაგრამ მუშები მიხვდნენ მის ხრიკებს და ისინიც გაცოფდნენ. მათ განაცხადეს, რომ პური სწორედ ახლა სჭირდებოდათ, რომ მათი საკუჭნაოები უკეთ დაიცავდა პურს ობისა და ვირთხებისგან, ვიდრე საბჭოს დიდი კალათი. არ სჯეროდათ ამ ბატონების, რომლებთანაც უნდა დარჩენილიყო მათი პური, ვიდრე ისინი პენსიაში გავიდოდნენ.

– მერე რა ქნა? – იკითხა ჯონათანმა.

– ეს პონცი ყოველთვის პოულობდა გამოსავალს. მან თქვა, რომ ყველას კიდევ 5 წლით უნდა დაეცადა, ვიდრე 70 წლის არ გახდებოდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლოთ პურის გამოყენება კალათიდან. ამან იმ ადამიანების უკმაყოფილება გამოიწვია, რომლებიც უკვე პენსიაზე გადიოდნენ და დაპირების თანახმად, იცოდნენ, რომ 65 წლის ასაკში დაიწყებდნენ პურის გამოყენებას. საბოლოოდ პონცის ბრწყინვალე იდეა მოუვიდა თავში.

– სწორედ რომ დროულად! – წამოიყვირა ჯონათანმა.

– სწორედ არჩევნების დღეს. პონცი ყველას ყველაფერს დაპირდა. იგი მეტს მისცემდა მოხუცებულებს და ცოტას აიღებდა ახალგაზრდებისგან. შესანიშნავია! გვპირდებოდა ბევრს ცოტას სანაცვლოდ და ყველა ბედნიერი იყო, – მოხუცი შეჩერდა და ჯონათანს შეხედა, რათა დარწმუნებულიყო, რომ მას ესმოდა საქმის არსი, – მთავარი იმაში მდგომარეობდა, რომ პურის ულუფა უფრო მცირე იქნებოდა ყოველწლიურად. აი ასე. . . პურის ულუფა იმდენად მცირეა, ასობით პური რომ შეჭამო, მაინც ვერ დანაყრდები.

– წყეული გაიძვერები. . . იფეთქა ალანმა, – როცა პურის ეს მარაგი ამოიწურება, ალბათ პურის სურათებს გვაჭმევენ.